დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობის 2023 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობის 2023 წლის პროგრამა

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 3 000(სამი ათასი)ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობა (რომელსაც არ ჰყავს ან არ იძებნება პირდაპირი მემკვიდრე დედა, მამა, და/ძმა ,მეუღლე, ბაბუა,ბებია, შვილი/ გერი, შვილიშვილი)

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე კატეგორია:

პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯის გამღებ მოქალაქეს.

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) დაკრძალვის ხარჯის გამღების წერილობითი განცხადება.

ბ) განმცხდებლის პირადობის მოწმობის ასლი.

გ)შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული რეკომენდაცია გარდაცვლილის უპატრონობის შესახებ.

დ) გარდაცვალების მოწმობა ან ოქმი გარდაცვალების შესახებ.

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში ბანკიდან.

მუხლი 5. დაკრძალვის თანხის ოდენობა:

1. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსხურეობა განისაზღვროს 700 ლარის ოდენობით.

2.თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3.გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

4.მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი